საქართველოს უნივერსიტეტი

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

ფილოლოგია

ხელნაწერის უფლებით

თეონა კირაკოზაშვილი

გაცრუებული მოლოდინის ეფექტის შექმნის მექანიზმები

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

232.1.3

თბილისი
2023

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში

საბჭოს თავმჯდომარე:	**ირინე ჩხენკელი,** ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
სამეცნიერო ხელმძღვანელი:	**მაია ჩხეიძე,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საბჭოს წევრი:	ნათია ასათიანი ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ოფიციალური ექსპერტები:	**მადონა შელია,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
	ნათელა მოსიაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი
შიდა ექსპერტი:	**რუსუდან გოცირიძე,** ფილოლოგიის დოქტორი

დისერტაციის დაცვა შედგება 16 თებერვალს, 14:30 ზე.

მისამართი: თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტი, კოსტავას 77ა, #519 აუდიტორია.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და უნივერსიტეტის ვებ გვერდზე: www.ug.edu.ge;

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2022 წლის 19 დეკემბერს.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: **ნათია მანჯიკაშვილი**

შესავალი

გაცრუებული მოლოდინი წარმოადგენს ენათმეცნიერთა, ფილოსოფოსთა, კულტუროლოგთა და ფსიქოლოგთა კვლევის ობიექტს, რაც განპირობებულია ამ ფენომენის მრავალგანზომილებიანობითა და რაც მეტყველებს გაცრუებული მოლოდინის ფენომენის სხვადასხვა პერსპექტივიდან კვლევის შესაძლებლობაზე.

ენის გამოყენებისას ფიქსირდება მოსაუბრე ინდივიდის უნარი, გამოავლინოს შემოქმედებითი პოტენციალი, რომელიც გულისხმობს ენობრივი ნორმების განზრახ დარღვევას, მანიპულაციის განხორციელებას ენაში არსებული ნორმების არასწორად გამოყენების გზითა და ყურადღების მიქცევის მიზნით. სწორედ მანიპულაციით იქმნება გაცრუებული მოლოდინი.

ლინგვისტთა მიერ მოლოდინის ფენომენის განმარტება სხვაობს მოლოდინის სხვადასხვა გენეზისის მიხედვით, სხვა სიტყვებით, კონკრეტული განმარტება რელევანტურია მხოლოდ კონკრეტული გენეზისის მქონე მოლოდინისათვის, რაც ვერ უზრუნველყოფს ზოგადად მოლოდინის ფენომენის მთლიანობრივ ხედვას.

ჩანს, რომ არ არსებობს გაცრუებული მოლოდინის სტატუსის მკაფიო განმარტება; ისევ ელოდება პასუხს შეკითხვა: რა არის გაცრუებული მოლოდინი - ეფექტი თუ სიტუაცია? ამის მიზეზად კი მივიჩნევთ იმ ფაქტს, რომ დღემდე არ განხორციელებულა გაცრუებული მოლოდინის რეალიზაციის საშუალებათა კომპლექსური ანალიზი - გაცრუებული მოლოდინის შემქმნელი მექანიზმები განიხილება ერთმანეთისაგან იზოლირებულად.

აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის მოძიება შესაძლებელია მხოლოდ ინტეგრატიული მოდელის ფარგლებში, რომელსაც გააჩნია ყველა რელევანტური მიდგომის ერთ თეორიაში გაერთიანების პოტენცია.

თანამედროვე ლინგვისტიკაში აღდგენილია ბალანსი მეტყველების პროდუცირებისა და აღქმის პროცესებს შორის. ეს ფაქტი კი უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესების გამაერთიანებელი ახალი მოდელების გენერირების შესაძლებლობას.

სამეტყველო აქტივობაში გაცრუებული მოლოდინის სიტუაციის სიღრმისეული კვლევა წარმოაჩენს ახალ მონაცემებს, რომლებიც ღირებულია დისკურსის წარმოება-აღქმის ინტეგრატიული მოდელის შემდგომი დამუშავებისთვის. აღნიშნულ მოდელს კი შეუძლია გააფართოვოს არსებული წარმოდგენები მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის პროცესების შესახებ. სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს ჩვენი კვლევის აქტუალობას.

კვლევის მიზანია გაცრუებული მოლოდინის ფენომენის ინტეგრატიული კვლევა, რაც გულისხმობს იმის გარკვევას, თუ როგორ და რა ხარისხით ზემოქმედებს ადამიანის მენტალური ლექსიკონის ორგანიზებისა და ადამიანის კოგნიტური გამოცდილების სპეციფიკა შეტყობინების აღქმაზე.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჟღერს: სავარაუდოა, რომ გაცრუებული მოლოდინის ფენომენის ანალიზის სისრულისა და ობიექტურობის მიღწევის გზას წარმოადგენს აღქმის ინტეგრატიული მოდელისა და მოლოდინის მენტალურ სივრცეთა ინტეგრაციის მოდელების გამოყენება, ვინაიდან სწორედ აღნიშნული მოდელები ხსნიან მეტყველების აღქმის პროცესის სტრატეგიულ ბუნებასა და პროგნოზირების პრინციპის არსს.

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს პლურალისტური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს ფენომენის სხვადასხვა პერსპექტივიდან კვლევას. კვლევაში განხორციელებულია ისეთი მეთოდების სინთეზი, როგორებიცაა: ექსპერიმენტული მეთოდი, კონტრტექსტების ფორმალური და სემანტიკური ანალიზის მეთოდი, დაკვირვების, აღწერისა და მოდელირების მეთოდები.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს გაცრუებული მოლოდინის ფენომენის შესწავლაში კომპლექსური პოზიციებიდან და ყურადღების ფოკუსირებაში გაცრუებული მოლოდინის მაპროვოცირებელ კოგნიტურ პროცესებზე. მოსაუბრისა და საუბრის აღმქმელი სუბიექტის მენტალურ სივრცეთა ლინგვოკოგნიტური მოდელირება პირველად განხორციელდა გაცრუებული მოლოდინის კონტექსტში.

კვლევის თეორიული ღირებულება განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:

კვლევის შედეგები იძლევა მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის ინტეგრატიული მოდელის შემდგომი განვითარებისთვის საჭირო მონაცემებს;

კვლევის შედეგები ხელს უწყობს „შინაგანი კონტექსტისა" და „სიტყვის იდენტიფიკაციის" თეორიათა განვითარებას;

კვლევას გარკვეული წვლილი შეაქვს იმ კოგნიტური სტრუქტურების ფუნქციონირების პრობლემათა შესწავლაში, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ინფორმაციის შენახვასა და გადამუშავებაში;

კვლევის შედეგები ღირებულია როგორც ტექსტის გაგების ფსიქოლინგვისტური პრობლემის, ისე აღქმის პრობლემის ზოგადდისციპლინარულ კონტექსტში შესწავლისათვის.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება განისაზღვრება კვლევის შედეგების ვალიდურობით ენის თეორიის, ფსიქოლინგვისტიკისა და კოგნიტიური ლინგვისტიკის სასწავლო კურსებისათვის.

კვლევის მასალად გამოყენებულია მაგალითები სატელევიზიო გადაცემებიდან, ყოველდღიური ურთიერთობიდან, ასევე ჩატარებული ექსპერიმენტის მონაცემები. ექსპერიმენტულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 30-მა ადამიანმა; 16 მასტიმულირებელ ტექსტზე მიღებულ იქნა და ანალიზს დაექვემდებარა 480 კონტრტექსტი.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე; განსაზღვრულია კვლევის მიზანი, მიზნის მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და კვლევის ეტაპები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

პირველ თავში - „გაცრუებული მოლოდინის ფენომენი" - განხილულია გაცრუებული მოლოდინის ფენომენის არსი მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის თეორიებში; მეტყველების აღქმისა და პირობების თავისებურებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის წარმატებულ რეალიზაციას.

მეორე თავი - „გაცრუებული მოლოდინი როგორც საუბრის აღქმის პროცესის მოდელირების წყარო" - ეძღვნება ისეთ საკითხთა ანალიზს, როგორებიცაა: კომუნიკაციური განზრახვისა და კომუნიკაციური წარუმატებლობის არსი; სიტყვათა თამაშის თავისებურები ენის სემანტიკურ-სტილისტიკურ დონეზე; იუმორის თანამედროვე ლინგვისტური თეორიები.

მესამე თავში - „ექსპექტაციები, გაცრუებული მოლოდინი და კოგნიტური რეპრეზენტაციები" - გაანალიზებულია შინაგანი კონტექსტის, როგორც გამონათქვამის წარმოქმნისა და აღქმის კოგნიტური ბაზის არსი; ექსპექტაციების სპეციფიკა და მათი როლი კოგნიტური რეპრეზენტაციების კონსტრუირებაში.

მეოთხე თავში - „გაცრუებული მოლოდინი, კოგნიტური პროცესები და იუმორისტული დისკურსი" - წარმოდგენილია ინტერტექსტუალობისა და კონტექსტის თეორიის გამოყენების ანალიზი იუმორისტულ დისკურსში; გაცრუებული მოლოდინის ეფექტის მაპროვოცირებელი კოგნიტური პროცესების ექსპერიმენტული კვლევის შედეგები; ტექსტები და კონტრტექსტები; გაცრუებული მოლოდინის ფენომენი ანტი-ანდაზაში.

დასკვნით ნაწილში შეჯამებული და განზოგადებულია კვლევის შედეგები.

დასკვნა

ნაშრომში გაცრუებული მოლოდინის ფენომენის კვლევა ორიენტირებულია იმ კონცეპტუალურ კონსტრუქტთა ძიებაზე, რომელთაც გააჩნიათ ცოდნის, ემოციისა და განცდის ერთიანი რეპრეზენტაციული სივრცის ფორმით წარმოდგენის უნარი.

აღნიშნული მიდგომის განხორციელების გზად ნაშრომში მიჩნეულია გაცრუებული მოლოდინის ლინგვოკოგნიტური მოდელირება, რომელმაც მოგვცა აზრობრივი მოლოდინისა და სიუჟეტური მოლოდინის ერთ მთლიანობად განხილვის შესაძლებლობა. ეს შესაძლებლობა გულისხმობს მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის პროცესების კვლევისადმი კოგნიტური მიდგომის გამოყენებას.

ნაშრომში აღნიშნული მიდგომის ვალიდურობა დადგენილია მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის ინტეგრატიული მოდელის საზღვრებში. აღნიშნულ მოდელს გააჩნია ყველა რელევანტური მიდგომის ერთ თეორიაში გაერთიანების პოტენცია. სწორედ ამიტომ დავინახეთ კოგნიტურ მიდგომაში ჩვენი კვლევისათვის რელევანტური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობა.

ნაშრომში გაცრუებული მოლოდინის ფენომენის კვლევა განხორციელებულია კოგნიტური ლინგვისტიკისა და ფსიქოლინგვისტიკის სააზროვნო სივრცეთა კვეთაზე, შესაბამისად, გაცრუებული მოლოდინი განხილულია ისეთ ფსიქოლინგვისტურ ფენომენებთან კავშირში, როგორებიცაა ტექსტის არაერთმნიშვნელოვნება, ექსპექტაცია, პროგნოზირება და ალბათობა.

კოგნიტიური მექანიზმების ფუნქციონირების მახასიათებლები გაცრუებული მოლოდინის სიტუაციაში წარმოდგენილია როგორც „მოლოდინის მენტალურ სივრცეთა ინტეგრაციის“ მოდელები, რომლებიც

ხსნიან მეტყველების აღქმის პროცესის სტრატეგიულ ბუნებას სავარაუდო პროგნოზირების პრინციპის გათვალისწინებით.

მოლოდინის მენტალურ სივრცეთა ხარისხი და სტრუქტურა განსაზღვრულია პრაიმინგის ეფექტის გავლენით და ფორმალურ მამოტივირებელ ელემენტებზე დაყრდნობით. გაცრუებული მოლოდინის ეფექტის შექმნაში დომინირებს პრაიმინგის სემანტიკური ტიპი, რომელიც გულისხმობს ასოციაციური აზროვნების მონაწილეობას ტექსტის კონსტრუირების პროცესში.

მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი კანონზომიერებები:

1. მთელი თავისი ორიგინალურობისა და ინდივიდუალურობის მიუხედავად, ყველაზე არატიპური მოლოდინებიც კი არ გადიან ინდივიდის პერცეპტული, კოგნიტიური და აფექტური გამოცდილების ჩარჩოებს მიღმა;
2. არატიპური და არაპროგნოზირებადი კონტრტექსტები მხოლოდ იმდენადაა არატიპური და არაპროგნოზირებადი, რამდენადაც ამის საშუალებას აძლევს ცდისპირს მისი ცოდნა და გამოცდილება;
3. გაცრუებულ მოლოდინს ქმნის აღსაქმელი ინფორმაციის ელემენტთა მენტალური რეპრეზენტაციების არაიდენტურობა;
4. ელემენტთა რეპრეზენტაციების არაიდენტურობა წარმოადგენს კომუნიკანტთა ექსპექტაციების შეუთავსებლობის მიზეზს;
5. მოლოდინის ყველა სახეობას აერთიანებს ინტეგრალური თვისება - ადამიანის სტერეოტიპიზირებული დამოკიდებულება მოსალოდნელი ობიექტის მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოლოდინის ყველა სახეობის საფუძველში დევს ენობრივ ერთეულთა შეთანხმების თავისებურებათა შესახებ ცოდნის არსებობა, ენის მატარებელთა წარმოდგენა „სიტუაციის ნორმალური განვითარების“ თაობაზე ან ცოდნა ეფექტური ურთიერთობის განხორციელების პრინციპების შესახებ;
6. გაცრუებული მოლოდინის სიტუაციაში შემომავალი ინფორმაცია შეესაბამება ინდივიდუალური ცოდნის სქემებს, რომლებიც

ყალიბდება ინდივიდის წარსული გამოცდილების საფუძველზე; გაცრუებული მოლოდინის სიტუაციაში შემომავალი ინფორმაცია კატეგორიზდება კონკრეტული ცდისპირის ასოციაციური კავშირების შესაბამისად;

7. ვერბალური შეტყობინების გააზრებისა და ალტერნატიული ვერბალური შეტყობინების კონსტრუირების პროცესში სუბიექტი „გადაათამაშებს“, პროგნოზირებს და აფასებს ტექსტით რეპრეზენტირებული სიტუაციის ამა თუ იმ დასასრულის ალბათობას; ალბათური პროგნოზირება ეფუძნება მოლოდინებს, რომლებიც ყალიბდება აღმქმელი სუბიექტის ცოდნისა და თვალსაზრისების, გარეგანი (ტექსტუალური) კონტექსტისა და გამომავალი ინფორმაციის შესაბამისობას;
8. მოლოდინის მენტალურ სივრცეთა თვისებრიობა და შევსების ხარისხი დეტერმინირებულია პრაიმინგის ეფექტის, სხვა სიტყვებით, „წინამორბედობის“ გავლენის ხარისხით; ნაშრომში ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის მონაცემთა ანალიზმა ცხადყო სემანტიკური პრაიმინგის გავლენის დომინაცია, რაც გულისხმობს ასოციაციური აზროვნების ჩართულობას, ასოციაციურ მიმართებათა დადგენას ტექსტის პროექციის კონსტრუირების პროცესში;
9. გარდა გარეგანი კონტექსტისა, ტექსტით რეპრეზენტირებული სიტუაციის აღქმის პროცესში ჩართულია ინტერპრეტაციის შინაგანი კონტექსტი, კერძოდ კი, ცდისპირის მრავალგანზომილებიანი კოგნიტური, აფექტური და რეცეპტიული გამოცდილების შედეგი;
10. მიღებული კონტრტექსტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ტექსტით რეპრეზენტირებული სიტუაციის აღქმის პროცესში გამოიყოფა მენტალური ქმედების შემდეგი კომპონენტები: ყურადღების კონცეტრირება ტექსტის ნიშნებზე (სიტყვებზე), რომლებიც ამ შემთხვევაში წარმოადგენენ მოცემული ტექსტის სემანტიკურ კვანძებს; აღნიშნული კომპონენტი გულისხმობს მენტალურ რეპრეზენტაციათა დონეზე გადასვლას;

11. მოლოდინი, როგორც ცოდნის ინდივიდუალურ სტრუქტურათა „საცავი“, სხვაობს სუბიექტიდან სუბიექტში. ეს ფაქტი კი ხსნის კომუნიკაციური მარცხის (წარუმატებლობის) მიზეზებს; სწორედ კომუნიკაციური მარცხი იწვევს გაცრუებულ მოლოდინს როგორც ინტერპერსონალურ, ისე ინტერკულტურულ კომუნიკაციაში.

ექსპერიმენტული კვლევის მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ტექსტი-სტიმულის აღქმისა და შევსებისას ცდისპირები ოპერირებენ კონცეპტებით, რომლებიც ექსპერიმენტის განმავლობაში ქმნიან გარკვეულ კლასებს. ამ ტიპის სააზროვნო პროცესის ელემენტთა ურთიერთქმედება ეთანადება მენტალურ სივრცეებისა და კონცეპტუალური ინტეგრაციის თეორიებს.

კონცეპტუალური ინტეგრაციის ძირითადი მექანიზმები - კომპოზიცია (composition), დასრულება (completion) და გადამუშავება (elaboration) - ზეგავლენას ახდენს გადამუშავებული ინფორმაციის ხასიათზე, კერძოდ:

კომპოზიციის მექანიზმი ასრულებს ატრიბუტულ ფუნქციას - ერთი მენტალური სივრცის ინფორმაციას უსაბამებს სხვა მენტალური სივრცის ელემენტებს;

დასრულების მექანიზმი აქტივირდება მაშინ, როდესაც შემომავალი ინფორმაციის პროექცია შეესაბამება გრძელვადიან მეხსიერებაში აკუმულირებულ მონაცემებს;

გადამუშავების პროცესში ხორციელდება კონცეპტუალური ინტეგრაციის შედეგად მიღებული სიტუაციის ან ფენომენის მენტალური კონსტრუირება - ახალი ინფორმაციის ელემენტებთან „შეჯახებისას“, მეტყველების აღმქმელ სუბიექტს შეუძლია აღწერილი მოვლენის მოდელირება მისთვის უკვე ნაცნობი ელემენტების მეშვეობით.

განხორციელებულმა კვლევამ მოგვცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალება: რა არის გაცრუებული მოლოდინი - ეფექტი თუ სიტუაცია? - ჩვენი პასუხი ამ შეკითხვაზე შემდეგნაირად ჟღერს:

გაცრუებული მოლოდინი არის თამაში, რომლის ძირითად პრინციპს წარმოადგენს პროგნოზირებად (მოსალოდნელ) და არაპროგნოზირებად (მოულოდნელ) ვერსიათა შეუსაბამობით, კონვენციონალიზმის ხელყოფით წარმოქმნილი სიტუაციის ეფექტი.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. Defeated Expectancy at Lexical Level. The 11th International Online Conference on Social Researches and Behavioral Sciences. ანტალია, თურქეთი, 2022
2. Defeated Expectancy. The 10th International Online Conference on Social Researches and Behavioral Sciences. ანტალია, თურქეთი, 2021
3. Defeated Expectancy – Effect or Situation? Caucasus Journal of Social Sciences #: 15. თბილისი, საქართველო, 2022

The University of Georgia

The School of Arts and Humanities

Philology

Manuscript Copyright Protected

Teona Kirakozashvili

The methods for creating the effect of defeated expectancy

Synopsis

of the thesis submitted in partial fulfillment for the Degree of Doctor of Philosophy (PhD) in Philology

232.1.3
Tbilisi
2023

The doctoral dissertation has been written at the School of Arts and Humanities, The University of Georgia.

Board Chairman:	**Irine Chkhenkeli,** Doctor of Philological Science, Associate Professor
Academic Supervisor:	**Maia Chkheidze,** Doctor of Philological Science, Professor
Board Member:	**Natia Asatiani,** Doctor of Philological Science, Associate Professor
Official Reviewer:	**Madona Shelia,** Doctor of Philological science, Associate Professor
Reviewers:	**Natela Mosiashvili,** Doctor of Philological science **Rusudan Gotsiridze,** Doctor of Philology

The defense of the dissertation will be held on February 16, at 14:30 p.m.
Venue: The University of Georgia, Room #519, Building IV, 77a, Kostava Str, 0165, Tbilisi, Georgia.

A copy of the dissertation is available at the library of the University of Georgia.

The synopsis was sent on December 19

Secretary of the Dissertation Board: Natia Manjikashvili

Introduction

The phenomenon of defeated expectancy is analysed by linguists, philosophers, culturalists and psychologists. The multidimensionality of the phenomenon in question provides the possibility of viewing the phenomenon of defeated expectancy from different perspectives.

In the use of a language, the speaker reveals his/her creative potential which implies the intentional violation of the linguistic norms as well as manipulation through the misuse of the linguistic norms. It is through manipulation that defeated expectancy is created.

The definitions of the phenomenon of expectation differ according to the different geneses of expectation, in other words, a specific definition is relevant only for an expectation with a specific genesis. The mentioned approach cannot provide a comprehensive view of the phenomenon of expectation in general.

It seems that there is no clear definition of the status of defeated expectancy: the question - what is defeated expectancy - an effect or a situation? - is still waiting to be answered. We consider the reason for this to be the fact that a complex analysis of the means of realizing the defeated expectation has not been carried out - the mechanisms creating defeated expectancy have been considered in isolation from each other.

The validity of the mentioned approach is established within the limits of the integrative model of speech production and perception. The mentioned model has the potential to combine all relevant approaches in one theory.

In modern linguistics, the balance between the processes of speech production and perception has been restored. This fact ensures the possibility of generating new models unifying the mentioned processes.

An in-depth study of the phenomenon of defeated expectancy in speech presents new data that are valuable for the further processing of the integrative model of

discourse production and perception. The mentioned model can expand the viewpoints on the processes of speech production and perception. This fact determines the relevance of the research.

The aim of the paper is an integrative study of the phenomenon of defeated expectancy, which implies finding out how and to what extent the organization of a person's mental lexicon and the specificity of his/her cognitive experience affects message perception.

The hypothesis of the paper is as follows: presumably, completeness and objectivity of the analysis of the phenomenon of defeated expectancy is attainable by applying the integral model of perception and the integration models of the expectation mental spaces, since these models explain the strategic nature of the process of speech perception and the essence of the principle of prediction.

The basis of the methodological research is the pluralistic approach that provides the research of this phenomenon from different perspectives. The research includes the synthesis of the following methods: experimental method, the formal and semantic analysis of counter texts, observation, description, and modelling.

The scientific novelty of the research lies in the study of the phenomenon of defeated expectancy from diverse positions and in focusing attention on the cognitive processes provoking defeated expectancy. The linguo-cognitive modelling of the speaker and the speech-perceiver's mental spaces has first been implemented in the context of defeated expectancy.

The theoretical value of the research is determined by the following factors:

The research results provide the necessary data for the further development of the integrative model of speech production and perception;

The research results contribute to the development of the theories of "internal context" and "word identification";

The research makes a certain contribution to the study of the problems of functioning the cognitive structures that participate in storing and processing information;

The results of the research are valuable for the study of both the psycholinguistic problem of text comprehension and the problem of perception in a general disciplinary context.

The practical value of the research is determined by the validity of the research results for the courses of language theory, psycholinguistics, and cognitive linguistics.

Illustrative models from television programs, daily experience, as well as the experimental data are used as research material; 30 people participated in the experimental study; 16 stimulus texts were obtained, and 480 counter texts were analysed.

The structure of the paper includes an introduction, chapters, sub-chapters, conclusions, and a bibliography.

The relevance and scientific novelty of the research topic are outlined in the introduction. The research goals and tasks requisite to achieve the set goals, the theoretical and practical values of the thesis, as well as research methodology are defined.

Chapter I - "The phenomenon of defeated expectancy" - the essence of the phenomenon of defeated expectancy in the theories of speech production and perception, peculiarities of speech perception and conditions ensuring its successful realization are discussed;

Chapter II – “The situation of defeated expectancy as the modelling source of the speech perception process” – is dedicated to the analysis of such issues as: the essence of communicative intention and communicative failure; peculiarities of

the “word game” at the semantic-stylistic level of the language; contemporary linguistic theories of humour.

Chapter III – “Expectations, defeated expectancy and cognitive representations” - the essence of the internal context as the cognitive base for generating and perceiving the expression, as well as the specificity of expectations and their role in constructing cognitive representations are analysed;

Chapter IV – “Defeated expectancy, cognitive processes, and humoristic discourse” – the analysis of the use of intertextuality and context theory in humoristic discourse, the results of the experimental study of cognitive processes provoking defeated expectancy, texts and counter texts as well as the phenomenon of defeated expectancy in anti-proverbs are presented.

The results of the research are summarized and generalized in the final part.

The analysis of the phenomenon of defeated expectancy is focused on the search for the conceptual constructs that have the ability to represent knowledge, emotion and feeling in the form of an integral representational space.

One of the possibilities for implementing the mentioned approach is the lingo-cognitive modelling of the situation of defeated expectancy.

The validity of the mentioned approach is established within the limits of the integrative model of speech production and speech perception. The mentioned model has the potential to combine all relevant approaches in one theory. That is why we saw the possibility of solving problems relevant to our research in the cognitive approach.

The research on the phenomenon of defeated expectancy is carried out at the intersection of cognitive linguistics and psycholinguistics; therefore, defeated expectancy is discussed in connection with such psycholinguistic phenomena as the ambiguity of the text, expectation, prediction and probability.

In the research the features of functioning of the cognitive mechanisms in the situation of defeated expectancy are presented as the models of integration of mental spaces of expectation, explaining the strategic nature of the process of speech perception, taking into account the principle of probable prediction.

The quality and structure of the mental spaces of expectation are determined by the influence of the priming effect and based on formal motivational elements. The creation of the effect of defeated expectancy is dominated by the semantic type of priming, implying the participation of associative thinking in the process of constructing the text.

As a result of the data analysis, the following regularities have been revealed:

1. Despite all their originality and individuality, even the most atypical expectations do not go beyond the framework of an individual's perceptual, cognitive and affective experience;
2. Atypical and unpredictable counter texts are only as atypical and unpredictable as the informant's knowledge and experience allow them to be atypical and unpredictable;
3. Defeated expectancy is created by the difference between the mental representations of the elements of information to be perceived;
4. The difference between the representations of the elements is the reason for the incompatibility of the informants' expectations;
5. All types of expectations are united by an integral feature – an individual's stereotyped attitude towards the expected object. In other words, all types of expectations are based on the existence of the knowledge of the peculiarities of the agreement between the linguistic units, the representation of the speakers about the "ordinary development of the situation" or the knowledge of the principles of effective communication;
6. In the situation of defeated expectancy the incoming information corresponds to individual's knowledge schemas, which are formed based on the individual's past experiences. In the situation of defeated

expectancy, the incoming information is categorized according to the associative connections;

7. In the process of understanding the verbal message and constructing an alternative verbal message, the informant "replays", predicts and evaluates the probability of this or that end of the situation represented by the text. Probabilistic forecasting is based on the expectations, which are formed as a result of the compliance between the knowledge and viewpoint of the informant, the external (textual) context, and the output information;
8. The quality and the volume of the mental spaces of expectation are determined by the degree of the priming effect, in other words, the influence of "foreseeing". The data analysis of the experimental research revealed the dominance of the influence of semantic priming, which implies the involvement of associative thinking, the establishment of associative relations in the process of constructing the text;
9. In addition to the external context, the internal context of interpretation is included in the process of perceiving the situation represented by the text; in other words, the result of the multidimensional cognitive, affective and receptive experience of the informant is included in the process of perceiving the situation represented by the text;
10. The analysis of the obtained counter texts showed that in the process of perceiving the situation represented by the text, the following components of mental activity are distinguished: concentration on the signs (words) representing the semantic nodes of the given text. The mentioned component involves moving to the level of mental representations;
11. Expectations, as a "repository" of the individual structures of knowledge, differ from individual to individual. This fact explains the reasons for communication failure. It is communicative failure that causes defeated expectancy in both interpersonal and intercultural communication.

The analysis of the experimental data has revealed that during the process of perceiving and filling in the text stimulus, the informants operate with the concepts that create certain classes during the experiment. The interaction of the

elements of the thinking process is consistent with the theory of mental spaces and the theory of conceptual integration.

The main mechanisms of conceptual integration - composition, completion and elaboration - influence the nature of the processed information, namely:

The mechanism of composition performs the attributive function - it matches the information of one mental space with the elements of another mental space;

The completion mechanism is activated when the projection of the incoming information corresponds to the data accumulated in the long-term memory;

In processing, the mental construction of the situation or phenomenon created as a result of the conceptual integration is molded, in particular, in the process of "collision" of the elements with the new information, a speech perceiver can model the described phenomenon through the elements already familiar to him/her.

The conducted research has provided us with an opportunity to answer one of the most important questions: what is the essence of defeated expectancy: is it an effect or a situation? - Our answer to this question is as follows: defeated expectancy is a “game”, the main principle of which is the inconsistency of predictable (expected) and unpredictable (unexpected) versions, where the mentioned inconsistency is created by the violation of conventionalism.

List of Publications:

1. Defeated Expectancy at Lexical Level. The 11th International Online Conference on Social Researches and Behavioral Sciences. Antalya, Turkey, 2022
2. Defeated Expectancy. The 10th International Online Conference on Social Researches and Behavioral Sciences. Antalya, Turkey, 2021
3. Defeated Expectancy – Effect or Situation? Caucasus Journal of Social Sciences #: 15. Tbilisi, Georgia, 2022